საქართველო
აუდიტორი ვასილ დევიძე
ჭიათურა, სოფ. პერევისა
ტელ: 599 98 27 24

Georgia
Vasil Devidze
Chiatura vil. Perevisa
Tel: 599 98 27 24

საჩხერე 12 აგვისტო 2018 წ.

აუდიტორი ვასილ დევიძე

(საქ. პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2010 წლის 8 მარტს გაცემული სერთიფიკატი ზ №5/310 აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი-SARAS-A-145825, "სქმეი" მიერ 2018წლის 14 მარტს გაცემული შემფასებლის სერთიფიკატი №142 )

აუდიტორმა ვასილ დევიძემ, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლის (ს/ნ 239404266) დირექტორთან 2018 წლის 16 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მშენებელ-ინჟინერთან თენგიზ კაპანაძესთან (სამშენებლო საქმიანობაში მუშაობის გამოცდილებით 40 წელი) ერთად, ვიზუალურად დავათვალიერეთ და სათანადო პროცედურების შემდეგ, დავადგინეთ სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის საჯარო სკოლასთან შერწყმული გორაძირის დაწყებითი სკოლის ძველი შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შენობის საკადასტრო მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა საჩხერე, კოდი 35, სექტორი კორბოული 12, კვარტალი №57, ნაკვეთი 022, მისამართი: რაიონი საჩხერე, სოფელი კორბოული.

სკოლის ძველი შენობა აშენებულია 1980-იან წლებში, წარმოადგენს ერთ-სართულიან შენობას, განაშენიანების ფართით 31.35კვ.მ მზიდი კედლები ზომით- 5.5მX4.3მ, რომელიც აშენებულია დამწვარი ნახშირის ნარჩენისაგან დამზადებული მცირე ზომის ბლოკის წყობით. სახურავი-ხის კოჭებზე მოწყობილი ფიცრის ფენილი - გადახურულია თუნუქით . ჭერად გამოყენებულია ხის კოჭებზე მოწყობილი ფიცარი, კარ-ფანჯრები ხისაა.

შენობა მნიშვნელოვნად დაზიანებულია, განსაკუთრებით კედლები, ფაქტიურად დასავლეთის მხარეს ნახევარი ბლოკი ჩამოშლილია და ბლოკის ადგილი შევსილია შელესვით. კედლებზე შეინიშნება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბზარები, შენობის მდგრადობა არასაიმედოა და ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შენობა საჭიროებს დემონტაჟს.

საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დავალების შესაბამისად, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ საჩხერის მუნიციპალიტეტში გადმოგზავნილი ინფორმაციის თანახმად აღნიშნული შენობა შესულია საჩხერის მუნიციპალიტეტის ცენტრალური და მუნიციპალური გზების მიმდებარე უსახური იერსახის შენობა-ნაგებობების ნუსხაში,

აუდიტორი: ვ. დევიძე

მშენებელი-ინჟინერი: თ. კაპანაძე